სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 04

2019 წ. "16" 01

ქ.თბილისი

„შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოსთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ოქტომბრის №85-ე გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს სააპელაციო საჩივრის, საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ოქტომბრის №85 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^7-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნას “შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოსთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ოქტომბრის №85-ე გადაწყვეტილება.
2. სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის №2 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი
დევი ხვედელიანი